# ვაკანსიის № 98112

| | |
|---|---|
| პოზიციის დასახელება | ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი |
| კონკურსის ტიპი | ღია კონკურსი |
| ორგანიზაცია | ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუ |
| კატეგორია | არქიტექტურა |
| განცხადების ბოლო ვადა | 11.03.2026 |
| თანამდებობრივი სარგო | 3680 ლარი |
| ადგილების რაოდენობა | 1 |
| სამსახურის ადგილმდებარეობა | თბილისი |
| სამუშაოს ტიპი | სრული განაკვეთი |
| გამოსაცდელი ვადა | 3 თვე |

## ფუნქციები

ა) კომპეტენციის ფარგლებში, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ დოკუმენტაციის მომზადება;

ბ) ძველ თბილისში I კლასის შენობა–ნაგებობების მშენებლობა/მონტაჟის ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობისა და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის წერილობითი დადასტურებისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

გ) ძველ თბილისში არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

დ) დადგენილი წესით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა საკულტო–რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვების გაცემა;

ე) მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული კორესპონდენციის განხილვა;

ვ) სამსახურის გამართული მუშაობის მიზნით, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ზ) განყოფილების ყოველკვირეული, ყოველთვიური, კვარტალური და წლიური სტატისტიკური მონაცემების წარმოება და მომზადება;

თ) უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ი) სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება;

კ) დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობების განხორციელება

## მოთხოვნები

| | |
|---|---|
| მინიმალური განათლება | ბაკალავრი |
| სამუშაო გამოცდილება | 2 წელი |
| პროფესია | არქიტექტორი |

## საკონკურსო თემატიკა

ა) საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი.
ბ) ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს  მთავრობის 2019 წლის 31 მაისის □255 დადგენილება;
გ) ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის 14–39 დადგენილება;
დ) ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის 13-35 დადგენილება;
ე) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის 39-18 დადგენილება.
ვ) საქართველოს კანონი ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“.

## კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

| ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ | ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ |
|---|---|
| MS office applications | კარგი |
| ArchiCAD | კარგი |
| AutoCAD | კარგი |
| Arc GIS | კარგი |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | |
|---|---|
| საკონკურსო კომისიის მისამართი | ქ. თბილისი, შარტავს ქ. 7 |
| საკონტაქტო ტელეფონები | 599520283 |
| საკონტაქტო პირი | სალომე |

## დამატებითი მოთხოვნები

ა) კანდიდატს უნდა ჰქონდეს არქიტექტურის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
ბ) წერისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

## დამატებითი ინფორმაცია

კონკურსთან დაკავშირებით მოთხოვნებში მითითებული საკანონმდებლო აქტების გასაცნობად ეწვიეთ ვებ - გვერდს: www.tas.ge; https://matsne.gov.ge/.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა კანდიდატებმა განცხადების შევსების დროს შესაბამის გრაფაში უნდა ატვირთონ:
ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი;
ბ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
გ) სამოტივაციო წერილი, სადაც დასაბუთებულად იქნება წარმოჩენილი, თუ რატომ გსურთ არქიტექტურის სამსახურში მუშაობის დაწყება და რატომ თვლით, რომ თქვენი კანდიდატურა შეესაბამება კონკრეტულ ვაკანსიას.

შენიშვნა: კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადავა მხოლოდ ის კანდიდატი, რომელიც დააკმაყოფილებს ამ ფორმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას. კონკურსის ეტაპების შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით.

## გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

## კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
ზეპირი დავალება
გასაუბრება

## სავალდებულო ბლოკები

☑პირადი ინფორმაცია

☑სამუშაო გამოცდილება
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑განათლება კვალიფიკაცია
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑კომპიუტერული პროგრამები, დაპროგრამების ენები, ოპერაციული სისტემები

☑სამოტივაციო წერილი